თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3301084

ნომერი: AR1506738

თარიღი : 24.05.2017

გაცემის თარიღი : 07.06.2017

გაცნობის თარიღი : 22.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N57 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ღარიბაშვილი პ/ნ 01024059900
- თბილისი. საბურთალოს ქ.3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1506738 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1494200 ელექტრონული განცხადების დადებითად გადაწყვეტას, ასევე ითხოვთ #2913575 ბრძანების ბათილად ცნობას და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 28 ოქტომბერს #2913575 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა #57-ში, შპს ,,სოლო დეველოპმენტი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ # 01.14.05.005.089) შერეული ფუნქციის შენობის (კომერციული საცხოვრებელი) არქიტექტურული პროექტი.

2017 წლის 29 მაისს #AR1494200 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ზურაბ აბზიანიძე და მოითხოვა ზემოაღნიშნულ მისამართზე მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზეც 2017 წლის 29 მაისის #3287639 ბრძანებით გაიცა შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით, წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

სამსახურის მიერ #2913575 და #3287639 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

დამატებით გაცნობებთ, აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.